<u>საინფორმაციო ფურცელი</u>

<u>მცირეწლოვანი ბავშვების ვიზიტი (ე.წ. ბავშვების ვიზიტები) ჩრდილო რაინ ვესტფალენის საშჯ. აღს. კან. § 19 აბზ. 2 და ჩრდილო რაინ ვესტფალენის საშჯ. აღს. კან. საგ. პატ. § 17 აბზ. 2 მიხედვით</u>

ეს დამატებითი ვიზიტები (თვეში 2 საათი) ემსახურება პატიმრების მათ მცირეწლოვან შვილებთან კონტაქტის განსაკუთრებულად ხელშეწყობას. მშობლების მათ შვილებთან კონტაქტის განსაკუთრებული ხელშეწყობის მიზნით ასეთი ვიზიტები დაშვებულია მხოლოდ საკუთარი/აყვანილი მცირეწლოვანი შვილების შემთხვევაში. ნათესაური კავშირის დადასტურების მიზნით, ბავშვის ვიზიტის მიზნით დაწერილ განცხადებას თან უნდა დაერთოს დაბადების მოწმობის – ან აყვანის საბუთის ასლი. ასეთი სახის განცხადების მიღება განყოფილების მისაღებშია შესაძლებელი.

ბავშვების ასეთი ვიზიტისას დამატებით საყიდლების გაკეთების უფლება არ გაიცემა, ასევე არ შეიძლება ტანსაცმლის თუ სხვა სახის ნივთების გადაცემა!!!

- სისხლის სამართლის საქმეთა პატიმრები ისევე როგორც საგამოძიებო პატიმრობაში მყოფი პატიმრები მონახულების შემზღუდავი გადაწყვეტილების <u>**გარეშე**</u> სისხლ.სამ. საპრ. კოდ. § 119 მიხედვით

ვიზიტი თვის 1. შაბათ დღეს საერთო ვიზიტების ოთახში იმართება. ბავშვების ვიზიტების დაშვების შემდგე 2 საათიანი შეხვედრებისათვის დღე ვიზიტორთა განყოფილებაში უნდა იქნეს შეთანხმებული.

ვიზიტორთა რაოდენობა თითო მონახულებისას შემოიფარგლება 4 ადამიანით (ერთი სრულწლოვანი თანხმლები პირი და მაქსიმუმ 3 ბავშვი; ბავშვები რომელნიც სულ მცირე 16 წლის არიან, შეუძლიათ ვიზიტი თანხმლები პირის გარეშე განახორციელონ).

- საგამოძიებო პატიმრობაში მყოფი პატიმრები მონახულების შემზღუდავი <u>**გადაწყვეტილებით**</u> სისხლ.სამ. საპრ. კოდ. § 119 მიხედვით

ვიზიტები იმართება ოთხშაბათობით ცალკეულ ვიზიტორთა ოთახში. ვიზიტების დაშვების შემდგე 2 საათიანი შეხვედრებისათვის დღე ვიზიტორთა განყოფილებაში უნდა იქნეს შეთანხმებული.

ვიზიტორთა რაოდენობა ოთახის ზომიდან გამომდინარე თითოეულ ვიზიტზე შემოიფარგლება მაქსიმუმ 3 ადამიანით (ერთი სრულწლოვანი თანხმლები პირი და მაქსიმუმ 2 ბავშვი; ბავშვები რომელნიც სულ მცირე 16 წლის არიან, შეუძლიათ ვიზიტი თანხმლები პირის გარეშე განახორციელონ).

ესენი, 07.12.2017
ესენის საშჯელაღმსრულებითი დაწესებულების ხელმძღვანელი
ხელმოწერილია ვანდელტ